



აღმოსავლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 27 იანვარი, 2015 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის (თანაკოორდინატორი)
2. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია ”ქალი და ბიზნესი” (თანაკოორდინატორი)
3. დიანა ყურაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
4. ლელა ბერძული - ევრაზიის ტანამშრომლობის ფონდი
5. მანანა წულაძა - ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანა“
6. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
7. თენგის სვანიძე - ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია ”საქართველოს ჩაი“
8. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი

განსახილველი საკითხები

- ❖ ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ
- ❖ საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდება
- ❖ საქართველოს ეროვნული პლატფორმის საერთო კრების საორგანიზაციო საკითხები
- ❖ ჯგუფის კოორდინატორების კანდიდატების დასახელება

ჯგუფის თანაკოორდინატორმა გახსნა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა და ძირითადი საკითხის განხილვამდე ისაუბრა შეხვედრებზე ჯგუფის წევრების დასწრების პრობლემაზე.

თანაკოორდინატორმა ისაუბრა სამუშაო წლის განმავლობაში ჯგუფის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და მიღწევებზე. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად წევრთა მხრიდან დასწრების პრობლემისა, ჯგუფმა მოახერხა მთელი რიგი მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელება. სამუშაო ჯგუფის წევრები წარმოდგენილი იყვნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის რიგით მეექვსე ყოველწლიურ შეხვედრაზე, აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის, მცირე ბიზნესის, კვლევა ინოვაციის პანელის მუშაობაში. ჯგუფის წევრი ორგანიზაცია ჩაერთო Horizon 2020 მუშაობაში, რომელიც არის ევროკავშირის პროგრამა კვლევის და ინოვაციის სფეროში. ჯგუფი ასევე აქტიურად იყო ჩართული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტის, მათ შორის მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავების პროცესში.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა წესდების ცვლილებების დოკუმენტი, მან ყურადღება გაამახვილა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა: პლატფორმის განვითარების მიმართულებები, შიდა განვითარება, რეგიონალური განვითარება, მონაწილეობა ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფორმატებში (სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა, შემდგომში „ქართულ - ევროპული პლატფორმა“ და სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმი), სამუშაო ჯგუფების და ქვეჯგუფების მუშაობა და ა.შ. წესდების ცვლილებების თანახმად სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა წარმოდგენილი იქნება 15 კაციანი შემადგენლობით, 12 წევრს ირჩევს კრება ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციებიდან, 3 წევრს კი – კომისია პლატფორმის არაწევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან. ორ გარანტირებულ წევრს წარმოადგენს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება და მეწარმეთა/დამსაქმებელთა ასოციაცია.

ჯგუფის წევრებმა განიხილეს წესდებაში შესაძლო ცვლილებების მიღებასთან დაკავშირებული საკითხები და ისაუბრეს იმ გამოწვევებზე თუ პრობლემებზე, რომლებსაც ისინი აწყდებიან მუშაობის პროცესში. რადგანაც შეხვედრაზე არ იყო წარმოდგენილი ჯგუფის წევრთა უმრავლესობა, საერთო მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ კოორინატორების კანდიდატების სიას ჯგუფი გადაუგზავნის სამდივნოს საერთო კრებამდე არა უგვიანეს 2 დღისა.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია